



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/3385  
04/05/2018

3385-09-2-201805041418



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის  
პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

N6175 წერილის (20.04.2018) პასუხად გაცნობებთ, რომ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამის შესაბამისად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევის ფარგლებში აიღო 40 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 11 ნიმუშში. მათ შორისაა:

ბასტურმა - ი/მ დავით წოწკოლაური  
ხინკალი „სუპერი“ - შპს „მადა“  
ხინკალი - შპს „კედარი“  
ხინკალი - შპს „ლაშარი“  
ბლინი - შპს „ლაშარი“  
გუფთა - შპს „ლაშარი“  
ხორცი - შპს „მერკადო“ (2 ნიმუში)  
ქაბაბი - შპს „გიო“  
პელმენი გაყინული - შპს „კამა“  
ხორცის ფარში გაყინული - ი/მ „ლევან ფაფაკერაშვილი“.

**Listeris Monocytogenes**-ის პროგრამით, პირველ კვარტალში აღებულია სურსათის 60 ნიმუში. მათ შორისაა თევზი (ქაშაყის ფილე), შაურმა, სალათი (ცეზარი და ბოსტნეულის სალათი) და ძეხვი. დარღვევა არცერთ ნიმუშში არ აღმოჩნდა.

**სალმონელაზე** კვლევისთვის აღებულია კარაქის, ხორცის ნახევარფაბრიკატის, რძის ფხვნილის, ბოსტნეულის სალათის, შაურმის, საქონლისა და ფრინველის ხორცის ნიმუშები. სულ 100 ნიმუში. დარღვევა არ გამოვლინდა.

**ყველში რძის ფხვნილის კვლევისთვის** აღებულია ყველის (იმერული, სულგუნი, ქარხნული ყველი, ყველის ჩხირები) 42 ნიმუში. დარღვევა აღმოჩნდა 2 ნიმუშში.

ჯერ არ დაწყებულა:

1. ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე;
2. რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა;

3. ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა
4. ხორცპროდუქტებში ძვლის შემცველობის განსაზღვრა.

ასევე გაცნობებთ, რომ პესტიციდების სარეალიზაციო ობიექტების კონტროლისას განხორციელებული საჯარიმო სანქციების დროს, როდესაც საქმე გვაქვს მარკირების წესის დარღვევასთან, ბიზნესოპერატორი ჯარიმდება ადგილზე და ნიმუშის აღება აღარ ხდება. ამის გამო არ აისახა დაჯარიმებული ბიზნესოპერატორები აღებული ნიმუშების ამსახველ რეესტრში. ამდენად, N 09/2877 წერილში წარმოდგენილი რეესტრი არის სრულ შესაბამისობაში სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოსთან.

რაც შეეხება ვეტპრეპარატ „ალბენდაზოლი 600“-ს, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად, N191 გამოცდის ანგარიშის საფუძველზე ვეტერინარული პრეპარატი „ალბენდაზოლი 600“, ბოლუსი N50, მწარმოებელი შპს „დავათი“, სერიის N 53111506, ვარგისიანობის ვადა და/ან წარმოების თარიღი 11.2018. მიჩნეული იქნა უვარგისად, რის გამოც შპს „დავათი“ „სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ N71 მუხლის თანახმად, დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარით. კომპანიას დაევალა აღნიშნული ვეტერინარული პრეპარატის მიმოქცევიდან ამოღება/გამოთხოვა და დასაწყობება სურსათის ეროვნული სააგენტოს შემდგომ მითითებამდე.

(სურსათის ბიზნესოპერატორების ჩამონათვალი და ჯარიმები იხილეთ დანართში).

გიორგი იაკობაშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.